საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1255 2024 წლის 2 სექტემბერი ქ. თბილისი

შპს „New Road-ის“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 7^4 მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტების საფუძველზე, „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების მიერ განსახორციელებელი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 15 აპრილის №655 განკარგულებით განსაზღვრული ინფრასტრუქტურული პროექტების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, შპს „New Road“ (ს/ნ: 441993112) 2024 წლის 9 დეკემბრამდე გათავისუფლდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან და მიეცეს უფლება, მოიპოვოს 198 701 m^3 სასარგებლო წიაღისეული (ანდეზიტის ლოდნარი) ხულოს მუნიციპალიტეტში, რიყეთისა და ბემუმის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე, შემდეგი X და Y კოორდინატების საზღვრებში:

ა) ხულოს მუნიციპალიტეტი, რიყეთის ადმინისტრაციული ერთეული:

#	X	Y
1	288847.7484	4612992.548
2	288849.4117	4612995.098
3	288861.4110	4613016.105
4	288909.7153	4613015.359
5	289011.6009	4613016.625
6	289011.0838	4613003.179
7	288998.2542	4613002.445
8	288995.3844	4613002.992
9	288992.5086	4613002.132
10	288985.8105	4613001.756
11	288911.0000	4613004.000
12	288918.6467	4612997.309
13	288903.4014	4612993.665
14	288880.3826	4612992.078
15	288858.1576	4612992.078
S = 0,2655 ha		
WGS 1984		

ბ) ხულოს მუნიციპალიტეტი, ბეშუმის ადმინისტრაციული ერთეული:

#	X	Y
1	289161.0000	4616197.000
2	289181.0000	4616235.000
3	289207.0000	4616256.000
4	289247.0000	4616230.000
5	289286.0000	4616278.000
6	289326.0000	4616294.000
7	289346.0000	4616284.000
8	289376.0000	4616279.000
9	289431.0000	4616287.000
10	289437.0000	4616245.000
11	289422.0000	4616220.000
12	289400.0000	4616204.000
13	289383.0000	4616184.000
14	289388.0000	4616157.000
15	289444.0000	4616139.000
16	289440.7268	4616116.088
17	289400.3494	4616130.686
18	289373.5842	4616133.234
19	289341.8832	4616132.941
S = 2,8345 ha		
WGS 1984		

გ) ხულოს მუნიციპალიტეტი, რიყეთის ადმინისტრაციული ერთეული:

#	X	Y
1	291240.291	4613083.993
2	291214.863	4613111.526
3	291239.916	4613134.716
4	291241.014	4613125.956
5	291241.183	4613121.079
6	291247.820	4613105.252
7	291251.497	4613099.367
S=0.086 ha		
WGS 1984		

2. ლიცენზიისაგან გათავისუფლებული პირი – შპს „New Road“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) გეოსაინფორმაციო პაკეტებით (2024 წლის ივლისის), საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2024 წლის 1 აგვისტოს №2-03/11498 და შპს „დელტა კომმის“ 2024 წლის 5 აგვისტოს №g-274/08-24 წერილებით განსაზღვრული პირობების შესრულება;

ბ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული გამოიყენოს მხოლოდ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნისათვის;

გ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლებისათვის, ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში უზრუნველყოს 596 103 (ხუთას ოთხმოცდათექვსმეტი ათას ას სამი) ლარის გადახდა.

3. შპს „New Road-ის“ მიერ, ლიცენზიისაგან გათავისუფლების საფუძველზე, წიაღით სარგებლობის პირობების შესრულების ზედამხედველობა განახორციელოს სააგენტომ.

4. შპს „New Road-მა“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ვადის გასვლიდან ორი კვირის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს ინფორმაცია მოპოვებული ბუნებრივი რესურსის ოდენობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე